საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

GIEC

# პრესრელიზი

***GIEC*** **-მა  წითელ ნუსხაში შეტანილი - მდინარის კალმახის პოპულაციის  გამრავლების ხელშეწყობის მიზნით, 10 000 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტი გაუშვა.**




2019 წლის 27 აგვისტოს , შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციამ“, მდინარე ხედეთურსა და მდინარე რიცეულაში განთავსებული კომპანიის კუთვნილი კაშხლების ზედა ბიეფებში, გადაშენების პირას მყოფი, წითელი ნუსხის სახეობის - მდინარის კალმახის პოპულაციის გამრავლების მიზნით, 10 000 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტი გაუშვა. აღნიშნული ღონისძიება სსიპ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

კომპანია აქტიურად არის ჩართული გადაშენების პირას მყოფი პოპულაციების გადარჩენისა და გამრავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში , მსგავსი მწვანე აქტივობა  კორპორაციამ 2018 წელსაც განახორციელა, რა დროსაც მდინარე ხედეთურში გაუშვა 2500 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტა.

მომავალ წელს კი კორპორაცია , უკვე არსებული გეგმის თანახმად   30 000 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტის გაშვებას  აპირებს  .

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

კორპორაცია” (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერგიის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

**"Georgian International Energy Corporation" Ltd**
D Aghmashenebeli str. 2, 1300 Gardabani
Tel.: +995 32 247 04 25; +995 32 247 04 25
Fax: +995 24 218 07 45

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
E-mail: n_bandzeladze@gig.ge Mob:

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding